



2018 წლის 7 დეკემბრის
სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ზუგდიდის რეგიონული ოფისი

ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა N93
სხდომის დაწყების დრო: 17 საათი

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: **დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცილო ცხვედიანი, ნათია კორკოტაძე, ირაკლი ყანდაშვილი, მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე (ჩაერთო დისტანციურ რეჟიმში).**

საკითხი 1. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ახალი ნიმუშის დამტკიცება.

ასოციაციის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ახალი ნიმუში და განმარტა, რომ არსებული მოწმობის ფორმატიდან გამომდინარე იგი მარტივად ზიანდება. აქვს ფერთა ისეთი კომბინაცია, რაც ხშირად გამოყენებისას იწვევს საღებავის გაუფერულებას. მოწმობაზე ასევე, არ არის დატანილი მოქალაქის პირადი ნომერი, რის გამოც ადვოკატებს უწევთ დამატებით პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა. მოწმობაზე ასევე არაა დამატებითი სპეციალიზაციის (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების) თაობაზე ინფორმაციის განთავსების შესაძლებლობა. ამდენად, მიზანშეწონილია დამტკიცდეს ახალი, თანამედროვე დიზაინის საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, სადაც გამოსწორებული იქნება ხარვეზები და გათვალისწინებულ იქნება ადვოკატთა საჭიროებები.

წევრები გაეცნენ საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ახალ დიზაინს და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს და 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ძალაში შევიდეს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა სხდომაზე წარმოდგენილი ახალი დიზაინის სახით (დანართი 1);
2. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა განსაზღვროს 2020 წლის პირველ იანვრამდე, მანამდე კი ძალაში იქნება მოწმობის ორივე ნიმუში;
3. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებს;
4. აღნიშნულის შესახებ წერილობით ეცნობოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, პენიტენციური სისტემის დაწესებულებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურას.

საკითხი 2. საერთო კრების საორგანიზაციო საკითხების განხილვა.

ასოციაციის თავმჯდომარემ წევრებს აცნობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით ასოციაციის საერთო კრების მოწვევის თაობაზე და მიაწოდა ინფორმაცია საერთო კრების თარიღის, ადგილმდებარეობის, განცხადებისა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების თაობაზე (დანართი 2).

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად, დამტკიცებულ იქნა შემდეგი:

1. ასოციაციის საერთო კრების მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 23 დეკემბერი;
2. საერთო კრება ჩატარების ადგილად განისაზღვროს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზი (მისამართი: ქალაქი თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N1);
3. დამტკიცდეს ასოციაციის საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადება და დღის წესრიგი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2);
4. აღმასრულებელი საბჭოს შემდგომ სხდომაზე წარმოდგენილ იქნას მიმდინარე წლის 23 დეკემბრის ასოციაციის საერთო კრების რეგლამენტი;
5. ასოციაციის საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადება და დღის წესრიგი ბეჭდვით ორგანოში და ასოციაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს 2018 წლის 07 დეკემბერს.

საკითხი 3. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის განცხადების განხილვა ინსტიტუციონალური აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე.

ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის განცხადება ინსტიტუციონალური აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განაცხადი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებთან და დართული აქვს საჭირო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

დაკმაყოფილდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის განცხადება ინსტიტუციონალური აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე